№ 16 შაბათი, 6 დეკემბერი 1908 წ. № 16

დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА“.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

„დროების“ ხვალინდელ ნომერთან ერთად

გამოვა

სურათებიანი დამატება

ეს ნომერი შვიდი კაპეიკი ეღირება.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

✦ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ✦

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის სააგენტოს“ დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

თვიური ფასები:

(პირველი სტრიქონი რუსეთისაა, მეორე—საზღვარ-გარეთისა)

12 თვით	11 თვით	10 თვით	9 თვით	8 თვით	7 თვით	6 თვით	5 თვით	4 თვით	3 თვით	2 თვით	1 თვით
8—50	8—10	7—60	7—10	6—50	5—80	5—10	4—40	3—70	3— „	2— „	1— „
12— „	11— „	10— „	9— „	8— „	7— „	6— „	5— „	4—50	3—50	2—50	1—50

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიანად უნდა შეიტანოს ან ნაწილ-ნაწილად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში: „დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში [illegible]—ხასანის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა; [illegible] ქუჩაზე, გრიგოლ [illegible] ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციელმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. Агладзе.

აკაკის საიუბილეო საჩუქარი

გამოვიდა და იყიდება კავკასიის ქალაქების წიგნის მაღაზიებში და რკინის გზის შკაფებში სადღეისო გამომცემლობის „**კოლხიდა**“-ს ახალი წიგნი ლექსები **ვარლამ რუხაძისა** „**ციცკარი**“, ივ. გომართელის წინასიტყვაობით და ავტორის სურათით. ფასი 25 კაპ.

საწყობი ქუთაისშია, წიგნის მაღაზია „**იმერეთ**“-ში. (3—6—1)

საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.

შაბათს, 6 დეკემბერს 1908 წ. რუსულ ოპერის არტისტი

◀ **ვანო სარაჯიშვილი** გამართავს მხოლოდ ერთს ▶

კონცერტს

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების **სამუსიკო სკოლის** სასარგებლოდ. კონცერტში გარდა სარაჯიშვილისა მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თ. ძნელაძე, ე. ა. სავიცკაიასი და ე. ვ. ფიგნერისა და ბ-ნნი: ამალინი, მეზუევი და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთები 75 კ. 3 მანეთამდე იყიდება არტისტიულ საზოგადოების თეატრის კასაში. (3—6.—3)

ტფილისის სახაზინო თეატრი

შაბათს, 6 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

„ჟიზნ ზა ცარია“

მონაწილენი: ქ-ნნი კალინინა მეორე, ოსიპოვა; ბ-ნნი დანილევსკი, კარელინი, როზანოვი, სერგეევი, ჩერნოვი და სხვ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ანონსი: 7 დეკემ. ბენეფისი ს. ბ. ოსიპოვისა ნ. ვ. კარუევინას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ლაკმე“.



ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

დღეს, 6 დეკემბერს, **გახსნა ცირკისა.** პირველ სახალხო ცირკისა, რომელშიაც არიან პირველ ხარისხოვანი არტისტები, ევროპაში ცნობილნი, პირველად მოსულნი რუსეთში, საუკეთესო ცხენოსანნი ქალნი და კაცნი, გიმნასტები, ჟონგლერები, საუკეთესო კლოუნები, კომიკები, მასხარები.

დასი სულ ახალია, პირველად მოსული ტფილისში.

დასასრულ სამ-მოქმედებიანი წარმოდგენა, იქნება დიდი ბალეტი, რომელშიაც 24 ბალერინაა. პეტერბურგის თეატრის ცნობილ ბალეტმეისტრის ანტონიოს გამგეობით. დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი ზუსტად რვა ნახევარ საათზე.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

ნადიმი

(სადღესასწაულო სადილი)

აკაკის პატივსაცემლად

ორშაბათს, 8 დეკემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, მიხეილის ქუჩა, „ნემეცების კლუბში“.

მსურველთ შეუძლიათ ადრევე ჩაეწერონ წერა-კითხვის საზოგ. კანცელარიაში და „ზაკავ. ობოზრ.“ რედაქციაში. ((4—519—3)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი გ. ი. ხოჯაპარუხოვი

ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—10)

ექიმი ქუთაისში გ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც ჯაზაკოვის ქუჩა იწყება, [illegible] აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—13)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში, იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელოვნო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში

შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—25)

ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბუზიაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის [illegible]

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—44)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამღორდნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—43)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში

იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბავშვებს, ყოველ დღე: დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 ნახ. საათ. ლეგამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩიქოვანისა. (25—6.—4)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნაკი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—85)

ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბრეხეს ქუჩა, N 11. (25—656—1)

სამკურნალო ქუთაისში, ქირურგიული და დედათა სნეულებისა,

მუდმივი საწოლებით, ცალ-ცალკე განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

ექიმი ივ. ბოკერია — ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—8)

შაბათს, 6-ს დეკემბერს,

ავჭალის აუდიტორიაში

ხარკოვის უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

პარიზის ღარიბ ღატაკნი

დრამა 5 მოქ. 7 სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი [illegible]ძისა, გოგოლაშვილი, ლელაშვილი, მეხნიევი; ბ-ნნი გოცირიძე, ჯაბაური, ანანიაშვილი, ინაშვილი, ჭიჭინაძე, ლიქოკელი და სხვები. (1—უ.—1)

„ტფილისის სობრანიე“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებს და კანდიდატებს, რომ **საოჯახო საღამო,** დანიშნული შაბათს, 6 დეკემბრისათვის, აღარ შესდგება. (1—654—1)

კვირას, 7 დეკემბერს გამოვა საიუბილეო სურათებიანი

ალმანახი

აკაკი

გაიყიდება შაბათ საღამოდან „შრომის“ სტამბაში. (2—655—1)

ვთხოვ ველაბრის წმ. მარინის **ეკლესიის** მრევლს, მობრძანდეს კვირას, 7 დეკემბერს, დილის 8½ საათზე წმ. მარინის ეკლესიაში მოძღვრის ასარჩევად. (მომხდარი არჩევნები 26 ღვინობისთვეს გაუქმებულ იქმნენ ეგზარხოსის მოადგილის მიერ).

მოვაგონებ მრევლს, რომ სამი თვის ვადა მოძღვრის არჩევისა უკვე სრულდება. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მამაკაცს მრევლთაგანს, არანაკლებ 25 წლისას. (2—6.—1) წმ. მარინის ეკლესიის მნათე.

ადმინისტრაციის განკარგულებით დახურულ ჟურ. „**მნათობის**“ **რედაქცია** ამით აუწყებს თავის ხელისმომწერთ, რომ იგი ახალ წლიდან შეუთანხმდება ერთ-ერთ ახალ კვირეულ გამოცემას, რათა ამ უკანასკნელს რედაქციამ შეუვსოს მათ დაკლებული ნომრები. (3—უ—1)

8 დეკემბერს იხსნება ახალი

ტფ. კერძო სამკურნალო

(ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ს. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

ექ. [illegible]: ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

ექ. ზ. მ. მაკაროვი: სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოვ დღე; 11 ნახ —12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავად.

ექ. ი. გ. გომართელი: ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. (25—657—1)

გამოვიდა და იყიდება

ბროშიურა **კიტა აბაშიძისა:**

„აკაკი წერეთელი“

(სალირიკო პოეზია)

ფასი სამი შაური.

(10—უ.—9)

ქ. ქუთაისში

თ. ა. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში

(ალექსანდრ. ბ. ბულვარის მახლობლად, დომ. ს. [illegible] შენობაში)

იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.

სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.

აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ა. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—15)

ტფილისი, 6 დეკემბერი.

დიდის ხნის ყოყმანის შემდეგ სათათბირომ მორიგ საქმედ აღიარა მემარჯვენეთა შეკითხვა კავკასიის საქმეებზე და მის განხილვას შეუდგა. ჯერ არ ვიცით, რა ბედი მოელის შეკითხვას და როგორ მიეგებება მას სათათბიროს უმრავლესობა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ შეკითხვა ასეთი ხასიათისა განსახილველად მიიღეს, რომ შესაძლებელი გახდა ასეთ საკითხის წამოყენება ჩვენი ქვეყნის შესახებ, დიდათ საყურადღებო და საგულისხმიეროა.

„გაქრა გიჟი ოცნება“... ის, რასაც მრავალტანჯული რუსეთი მოელოდა და ის, რაც დღეს არის, იმდენად შორი შორს არიან ერთმანეთისაგან, რომ ხშირად დღევანდელი ყოფა სინამდვილეთ-კი არა, სიზმრად გეჩვენება. უთვალავი მსხვერპლი შესწირა რუსის ხალხმა პოლიტიკურ განთავისუფლების საქმეს; მეცხრამეტე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი, მეოცე საუკუნის პირველი წლები, განუწყვეტელი მარტიროლოგი არის რუსეთის ისტორიაში; საუკეთესო ძალა ხალხისა და უდიდესი ენერგია დაიხარჯა, მსხვერპლად შეეწირა რუსეთში პოლიტიკურ თავისუფლების დამყარებას. და როცა ჰხედავ, რომ ჯერჯერობით ამ დიად ბრძოლისა და ესოდენ მსხვერპლის ნაყოფია პურიშკევიჩებისა და გუჩკოვების სახელმწიფოს პირველ რიგში წამოსკუპება, ძალაუნებურად გვპარება პესსიმიზმი და უიმედობა. რუსეთის საკონსტიტუციო რეჟიმს, რუსეთის პირველ პარლამენტს (ვამბობთ პირველს, რადგან ორ წინანდელ სათათბიროთ ორგანიული მუშაობა არ დასცალდათ) რუსეთის განახლების საქმე უნდა დაეწყოთ—ამ იმედით იყვნენ სულდგმულნი დიდებული მებრძოლნი პოლიტიკურ თავისუფლებისათვის და რუსის საუკეთესო საზოგადოება,—ნამდვილად კი „განახლებული რეჟიმი“ თვითმპყრობელობის უბნელეს ხანებს მოგვაგონებს. დამამტკიცებელი საბუთები რათ გინდათ: მიმოიხედეთ ირგვლივ და თქვენ ყოველ ნაბიჯზე იხილავთ ნიშნებს ყველა იმედების დამსხვრევისას... შორს რომ არ წავიდეთ, მარტო უკანასკნელი ფაქტი, სათათბიროში მომხდარი, საკმარისია იმის გასაგებად, რა მწარე დაცინვაა ძველის იმედებისა მთელი ახლანდელი „განახლება“. მოგახსენებთ ებრაელთა შესახებ კამათზე. სათათბიროს დღევანდელი გამგებელნი მთავრობას უკიჟინებენ—ებრაელთ შეღავათს აძლევთო, ლმობიერად ეპყრობითო! რუსეთის მთავრობა ლმობიერად ეპყრობა ებრაელთ! ამაზე შორს თავხედობა ვეღარ წავა...

ამგვარივე ხასიათისაა შეკითხვა კავკასიაზე. განა წარმოიდგენდით, რომ პირველი სიტყვა, რომელიც რუსეთის პარლამენტში წარმოითქმება ჩვენი ქვეყნის შესახებ, იქნება საყვედური, მთავრობისადმი მიმართული,—ლმობიერად ექცევა ამ განაპირა ქვეყანასო? განა წარმოიდგენდით, რომ ჩვენი დაცვა **სახალხო წარმომადგენლობის** უსინიდისო იერიშისაგან **მთავრობას** უნდა ეკისრნა? ასი წელიწადია ამ მთავრობის პოლიტიკამ სასტიკობის მეტი ვერაფერი გამოიჩინა, ვერავითარი შემოქმედებითი ნიჭი ვერ გვიჩვენა; ასი წელიწადია ანგრევდა და ანადგურებდა აქაურობას და სრულს გახრწნაში მოიყვანა ყველა მხარე ადგილობრივ ცხოვრებისა. და ამ რეჟიმს **სახალხო წარმომადგენლობა** ლმობიერებას უკიჟინებს! ეს კიდევ ცოტაა: სულ ბოლო ხანში ადგილობრივმა მთავრობამ შეიგნო თავის ასი წლის პოლიტიკის სიყალბე და სთქვა: ასეთ პირობებში დარჩენა აღარ შეიძლება, საჭიროა ზოგი რეფორმა, ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალთა გამოყენება და სხვა. შეიგნო, მაგრამ თავის გეგმის ასასრულებლად ხელი ვერ გაუნძრევია იმავ სახალხო წარმომადგენლობის შიშით. თვითმპყრობელი მთავრობა და მისი ადგილობრივი წარმომადგენელნი უფრო ლიბერალები გამოდგნენ რუსეთის პარლამენტის უმრავლესობაზე! სიზმარია თუ ცხადია?! გუშინ წინ წარდგენილი შეკითხვა გვარწმუნებს, რომ ეს სიზმარი არ არის. იმის მაგიერ, რომ პარლამენტს სასტიკ პასუხისგებაში მიეცა ის რეჟიმი, რომელმაც ესოდენ დასცა და დააქვეითა „საუკეთესო ალმასი რუსის გვირგვინისა“,—იმის მაგიერ მთავრობას უკიჟინებენ—რის რეფორმები, ცეცხლითა და მახვილით უნდა დაიპყრო კავკასიაო! თუ არ ბოროტ დაცინვად, სხვაფრივ რად მიიღოს ასეთი შეკითხვა კავკასიამ?...

ასეთი უკუღმართ პირობებში ჩადგა რუსეთი ამ ჟამათ.,. მთელი ეს „განახლება“ სამარცხვინო კომედია არის, რადგან განახლებული მანქანა ხელში ჩაუგდეს ისეთ ელემენტებს, რომელთაც პირიქით სძაგთ განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელში ჩაუგდეს ვიწრო კლასობრივ და წოდებრივ ინტერესებით გაჟღენთილს ელემენტს, რომელსაც ყალბ პატრიოტიზმის დროშის ქვეშ მოაქვს კონტრაბანდათ თავისი კერძო ინტერესები. სამი ივნისის კანონმა შექმნა დღევანდელი ვითარება რომლის ერთ-ერთი მოქმედება, კავკასიის შეკითხვის სახელწოდებით, გუშინწინ ითამაშეს სათათბიროში, მაგრამ ცხადზედ უცხადესია, რომ რუსეთის სვე-ბედის დღევანდელი გამგე—მესამე სათათბიროს უმრავლესობა—ბრმაა, რომელიც ვერ ჰხედავს, რომ სწრაფად მიექანება უფსკრულისაკენ.

აკაკის იუბილეი

აკაკის საღამო პეტერბურგში. პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ „ვესტ. ზაკ.“-ს: „აკაკის საიუბილეო საღამომ საუცხოვოდ ჩაიარა—მეტადრე აპოთეოზმა. დასდგეს ცოცხალი სურათები მგოსნის ნაწერებიდან. ქავთარაძემ მშვენივრად დაახასიათა აკაკი წერეთლის პოეზია.“

ჟურნალი „თეატრი და ხელოვნება“. ჟურნალმა „თეატრი და ხელოვნება.“ რომელიც პეტერბურგში გამოდის, იუბილიარისთვის მილოცვა დაავალა თავის ტფილისელ კორესპონდენტს კობიაკოვს.

მოქალაქენი. 4 დეკემბერს მოქალაქეთა რწმუნებულების კომისიამ განიხილა მოხსენება ერთი ჯგუფისა აკაკი წერეთლის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ. კრებამ დაადგინა, გადასდოს 200 მ. აკაკის ფონდის გასაძლიერებლად დაამორჩიოს დეპუტატებად: სამიკაკია. ადამიძე, მაისურაძე და ზაითსაზოვი.

ლექცია. დღეს, დილის 11 საათზე, ზუბალოვშვილების სახ. სახალხო სახლში ილია ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულად ლექციას აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ (ბიოგრაფია, ლირიკული პოეზია, სატირა და ჰუმორი).

გრ. რობაქიძის ლექცია. ხუთშაბათს, 4 დეკემბერს, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში, მრავალ ხალხის დასწრებით, ბ-ნ გრ. რობაქიძემ წაიკითხა ქართულად ლექცია აკაკის შესახებ. ლექცია მშვენიერი იყო, უნაკლულო ორატორული ქმნილება; შინაარსითაც საინტერესო და მდიდარი. სასურველია ლექცია დაიბეჭდოს. ჩვენი ლიტერატურა აკაკის შესახებ ერთობ ღარიბია და გრ. რობაქიძის ლექცია მდიდარი წვლილი იქნება ჩვენის დიდებულ მგოსნის შესახებ ლიტერატურაში. დღეს ამავე ლექციას გრ. რობაქიძე რუსულად წაიკითხავს სახალხო სახლში.

გარეთ-კახეთი. საგარეჯოში ორჯელ მოხდა კრება გარედ-კახეთის ყველა სოფლის წარმომადგენლებისა. კრებამ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს აკაკის საიუბილეო დღესასწაულში. აირჩია კომიტეტი. 7 დეკემბერს გადაიხდიან პარაკლისს, შემდეგ საგარეჯოს სკოლის შენობაში გაიმართება სალიტერატურო დილა, ხოლო საღამოთი დასდგამენ სცენებს, ცოცხალ სურათებს და სხვა.

დელეგატებად ტფილისში გამოსაგზავნად აირჩიეს იაკობ ჯვარიაშვილი და სამი გლეხი ნიკა ღვედაძე, ვანო მაისურაძე და იაკობ ჯაფარიძე. ამათ გარდა სხვა გლეხებიც აპირებენ თურმე ჩამოსვლას.

შეკითხვა კავკასიის შესახებ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ბარონ ნოლდეს სიტყვა

გუშინ უკვე ვწერდით, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეკითხვა შეიტანეს კავკასიის საქმეების შესახებ. ამ შეკითხვას პასუხი გასცა ნამესტნიკის წარმომადგენელმა ბარონმა ნოლდემ. დეპეშამ უკვე გადმოგვცა ბარონ ნოლდეს სიტყვა. მოგვყავს იგი სრულიად, როგორც დეპეშითაა გადმოცემული.

ნამესტნიკმა დამავალა, სთქვა ნოლდემ, წარუდგინო სახელმწიფო სათათბიროს პასუხი იმ შეკითხვის გამო, რომელიც სათათბიროში შეიტანა 38 დეპუტატმა. კავკასია მცხოვრებთა შემადგენლობით მრავალ ფეროვანია; თითქმის სამოცამდე სხვა და სხვა ტომი და ხალხი ცხოვრობს. აქედან უმთავრეს ერებად, რუსებს გარდა, თათრები, სომხები და ქართველები უნდა ჩაითვალონ. კავკასიის მცხოვრებნი თავიანთი განვითარებით დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; აქ შეხვდებით ევროპიულ კულტურის მქონე პირთ და ნახევრად ველურ ხალხებს, რომელთაც ნაკლები წარმოდგენა აქვთ საკუთრების უფლებაზე და ადამიანის სიცოცხლესაც ნაკლებად აფასებენ. ამ უკანასკნელ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ კავკასიაში შედარებით მეტი ბოროტ-მოქმედება ხდება. მაგრამ ამ ბოროტ-მოქმედებებში ადგილი არა აქვს ისეთს, რომელიც გამოწვეული იყოს რუსეთისაგან ჩამოშორების ლტოლვილებით. თუმცა სხვა და სხვა ეროვნების კერძო ჯგუფებში არსებობს სეპარატისტული მიმართულება, მაგრამ ფაქტიურად იგი არას დროს არ გამოხატულა ადგილობრივ რუს მცხოვრებთა დევნაში.

თუ მოვიგონებთ იმ ტერორისტულ მოქმედებებს, რომელიც ხდებოდა 1903—1905 წლებში და რომელსაც უმთავრესად სომხები სჩადიოდნენ, არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ თუმცა ამ მოქმედებებს რევოლიუციონური ხასიათი ჰქონდათ, მაგრამ სეპარატისტულ აზრების ზეგავლენით არ იყვნენ გამოწვეულნი. 1905 წელიწადი ის დრო იყო, როდესაც რევოლიუციონურ იდეების განვითარებამ სომხებში უმწვერვალეს წერტილამდის მიაღწია. ადგილობრივი სომხები ოსმალეთის სომეხთა აჯანყების გავლენით და აგრეთვე აღელვებულნი იმ ფანტასტიურ ხმებით, ვითომ მთავრობა ჩამოართმევს ყველა კერძო პირს, ჩამომავლობით სომხებს, საკუთრებას, ქონებას განიმსჭვალნენ იმ აზრით, რომ აღედგინათ თავიანთი სომხეთი. ნამესტნიკის უქვეშევრდომილესის შუამდგომლობით, ხელმწიფემ 1905 წლის პირველ აგვისტოს ბრძანებით დაუბრუნა სომხის ეკლესიებს ჩამორთმეული ქონება და მიანიჭა უფლება, კვლავ გაეხსნათ დაკეტილი სამრევლო-საეკლესიო სკოლები. ამ დღიდან სეპარატისტულ აზრების გავლენა ადგილობრივ სომხებში თანდათან ეცემა. ამ დროს ძლიერი ეროვნულ-რევოლიუციონური პარტია „დაშნაკცუთუნი", ცოტა ხნით კიდევ ინარჩუნებს თავის გავლენას სომეხ-თათართა შეტაკების გამო, ხოლო შემდეგ მისი ძალა თანდათან სუსტდება სომხის ფართო წრეებში, ჰკარგავს ძველ მნიშვნელობას და ეხლა იგი წარმოადგენს კერძო ჯგუფებს, სხვათა შორის, სოციალისტურის ელფერით. ეს პარტიამ შეინარჩუნა ძველი სახელი „დაშნაკცუთუნი", ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წინად ხალხში მეტად პოპულიარული იყო. შემდეგ, იმის მეოხებით, რომ რუსეთის სხვა ადგილებში მოიპოვებოდნენ თანამგრძნობნი განაპირა ქვეყნების ავტონომიისა, სომხეთა ინტელიგენციაში აღიძრა საკითხი სომხეთის ავტონომიურად მოწყობის შესახებ, მაგრამ ეს მეოცნებენი მალე დარწმუნდნენ, რომ შეუძლებელია მთელი სომხის ერის შეერთება, შეუძლებელია თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ სომხებს ერთი განსაზღვრული ტერიტორია არა აქვთ.

ქართველებს შორის რუსეთისაგან ჩამოშორების იდეა არას დროს არც დიდათ ყოფილა გავრცელებული და არც სერიოზული მნიშვნელობა ჰქონია ამ იდეას. ქართველთა ზოგიერთ ნაწილში და სამღვდელოებაში დროებით რამდენიმე გავლენა ჰქონდა საქართველოს ავტონომიურად მოწყობის და ეკლესიის ავტოკეფალიის იდეას. ნაციონალისტურ მიმართულებაზე უფრო ღრმად და ფართოდ ქართველ ხალხში ჯერ ისევ 1902 წლიდან გავრცელდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის იდეები. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ სოც.-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლები სამსავე სათათბიროში არას დროს არ შეეხებიან კერძოდ ქართველთა ეროვნულ საკითხებს.

თათართა და სხვა წვრილ ერთა სეპარატიზმზე ლაპარაკი ხომ მეტია. საერთო რევოლიუციონურ მოძრაობას არ შეეძლო ისე ჩაევლო, რომ თავისი კვალი არ დაეჩნია მაჰმადიანებზე, მაგრამ ეს კვალი გამოიხატა მხოლოდ სოც.-დემოკრატიულ პარტიის რამდენიმე ჯგუფის დაარსებაში. მეორეს მხრივ, განათლებული თათრები სცდილობენ, გაუღვიძონ ხალხს წყურვილი სწავლა-განათლებისადმი და განთავისუფლონ მაჰმადიანი ქალი იმ განსაკუთრებულ მდგომარეობისაგან, რომელშიაც იგი იმყოფება. სცდილობენ აგრეთვე შეიტანონ რუსის კულტურა თავიანთ ხალხში. კავკასიის არც ერთი ერი არ მოქმედებდა რუსეთის კავშირის გარეშე. სეპარატისტულ იდეებს სერიოზული გავლენა არა ჰქონია კავკასიაში მომხდარ ამბებზე—კავკასიის მოძრაობა არსებითად ისეთივე ხასიათისა იყო, როგორიც რუსეთის სხვა ნაწილებში მოძრაობა. ეს მტკიცდება იმითაც, რომ რევოლიუციონურ მოძრაობაში აქ რუსებიც იღებდნენ მონაწილეობას. ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩერნომორის გუბერნიაში, სადაც რუსები აღემატებიან დანარჩენ მცხოვრებთ, რევოლიუციონურმა მოძრაობამ უფრო რუსებს შორის იჩინა თავი. სამწუხაროდ, მხოლოდ აქ მოხდა ორი შემთხვევა, როდესაც გადასახლებული რუსები ნამდვილად მოჰყვნენ რევოლიუციონურ პროპაგანდის გავლენის ქვეშ.

აღვნიშნავთ რა კავკასიელ ერების მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მოძრაობა მიმდინარეობდა თანახმად იმისა, რაც რუსეთის სხვა ადგილებში ხდებოდა. გაფიცვა კავკასიის რკინის გზებზე, ფოსტასა და ტელეგრაფზე დაიწყო და გათავდა სწორედ იმ დროს, რა დროსაც დაიწყო და გათავდა გაფიცვები შიდა რუსეთში. სატახტო ქალაქებიდან მიცემულ ნიშნით დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობანი ამიერ-კავკასიაში, კერძოდ გურიაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩერნომორის გუბერნიაში და ეს უწესოებანიც სწორედ იმ დროს მოხდა, რა დროსაც ასეთ უწესოებებს ადგილი ჰქონდათ მოსკოვში, პოლონეთში, ბალტიის მხრეს და ციმბირში. ზომები, რევოლიუციონერების წინააღმდეგ მიღებული კავკასიაში, ისეთივე იყო, როგორიც მთავრობამ მთელი იმპერიისთვის იხმარა. არ შეიძლება ამასთან არ აღინიშნოს, რომ არც სასამართლოების პრაქტიკამ და არც ადმინისტრატიულმა გამოძიებამ არ მოგვცა არც ერთი მაგალითი იმისა, რომ ვინმეს ძალა ეხმაროს რუსებზე ეროვნულ სიძულვილის ნიადაგზე.

აქ ბარონ ნოლდემ მოიყვანა დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობები სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ კავკასიაში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სახელმწიფო დანაშაულობანი თან და თან კლებულობს, ხოლო დანაშაულობანი სისხლის სამართლის ნიადაგზე თან და თან მატულობს, რაც აიხსნება იმით, რომ კავკასიაში, როგორც ყველგან რუსეთში, რევოლიუციონური მოძრაობა ყაჩაღობას და ძარცვა-გლეჯაზე გადავიდა; ამასთან თუ კავკასიაში მეტი ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა ხდება, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ მხრივ კავკასია ყოველთვის წინ იყო. რა თქმა უნდა, რევოლიუციონურ მოძრაობის გამო კავკასიამ დიდი ზარალი ნახა, არა მარტო პირადი, არამედ ქონებრივიც. მაგრამ ამასთან რუსი მცხოვრებნი შედარებით ნაკლებ დაზარალდნენ, ვიდრე სხვა ეროვნების მცხოვრებნი. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ არა ჩვეულებრივი მკვლელობანი რუს მუშებისა ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე. ეს აიხსნება პარტიულ ბრძოლით სოც.-დემოკრატებსა და მათ მოწინააღმდეგეთა შორის, მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეროვნულ შუღლსა და მტრობას მაინც და მაინც დიდი ადგილი არა ჰქონია, რადგან ხშირად მსხვერპლნი და დამნაშავენი ერთსა და იმავე ეროვნებას ეკუთვნოდნენ. დაზარალებულ რუსთა რიცხვი უდრის ყველა დაზარალებულთა 52 პროცენტს. რუსები ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე შეადგენენ 40 პროცენტს (სულ გზებზე 20,038 კაცი მსახურობს).

ზემოდ აღნიშნულ მოვლენის გარდა, 1905—6 წლების მოძრაობებმა ყველაზე ნაკლები ზარალი რუსებს მიაყენეს. უფრო შფოთიან დროსაც-კი, როდესაც სომხები თათრებსა ჟლეტდნენ, ხოლო თათრები—სომხებს, თანაც ანადგურებდნენ ქონებას; როდესაც მშვიდობიან სომხებს მოსვენება არა ჰქონდათ თავიანთ ეროვნულ პარტიის „დაშნაკცუთუნისაგან", რომელიც ძალით და მუქარით ართმევდა ხალხს ფულს და ძალითვე ასახლებდა მათ ოჯახებში ოსმალეთიდან გამოხვეწილებს; როდესაც ქართველი გლეხობა სწვავდა და ანადგურებდა თავის მემამულეთა სახლ-კარს და ართმევდა მიწას, ხოლო ქართველი თავადაზნაურობა ადგენდა რაზმებს ამ თავდასხმის მოსაგერებლად,—ამ დროსაც კი, ვამბობთ, რუსი-მცხოვრებნი, ისე ახლად მოსულნი, [illegible] არ დაზარალებულან რევოლიუციონურ მოძრაობისაგან 1905 წელს მოჰკლეს ხუთი რუსი და დასჭრეს სამი. მშვიდობიან რუს-მცხოვრებთ ჰქონდათ მხოლოდ კერძო შეტაკებანი ადგილობრივ მეზობელ მცხოვრებლებთან, უმთავრესად თათრებთან, მაგრამ ისიც მეურნეობის ნიადაგზე. ასეთ შეტაკებების მიზეზად ხდებოდა ყანებისა და ბაღების წახდენა, საქონლის გარეკა და სხვა. რუსების დამსახლებელმა სამმართველომ მხოლოდ ერთი შემთხვევა აღნიშნა ისეთი, როდესაც ქართველი გლეხები სასურველად ვერ მოექცნენ მეზობელ რუსებს—მათ მოხნეს ამ უკანასკნელთა ადგილები. ესევე ქართველები ეწინააღმდეგებოდნენ გზის გაყვანას რუსების სოფლებამდე და მოთხოვნილებანი წარუდგინეს რუსს მოიჯარადრეებს რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისა და სამუშაო ქირის მანეთამდე გადიდების შესახებ. საქმეში ადმინისტრაცია ჩაერია და ეს მოთხოვნილებანი თავიდან აცილებული იქნენ. აშკარაა, ეს მოთხოვნილებანი არ იყო შედეგი რუსებისადმი სიძულვილისა, იგი იყო ნაყოფი სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდისა.

ჩვენ ავღნიშნეთ ის შეტაკებანი, რომელიც რუსებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან ჰქონდათ, მაგრამ არ შეგვიძლიან არ ავღნიშნოთ მათი კეთილ-მეზობლური განწყობილებაც იყო შემთხვევები, როდესაც რუსი მცხოვრებნი მემამულეებს ეშველებოდნენ და ბრბოების აკლებისაგან იცავდნენ მათ სახლ-კარს, სოფელს და სხვა. ჩამოთვლაც-კი არ შეიძლება იმისა, თუ სომეხ—თათრების შეტაკების დროს რამდენი თათრისა და სომხის ოჯახს გაუწიეს რუსებმა მფარველობა და ამ რიგად გადაარჩინეს. საჭიროა ავღნიშნოთ, რომ თუმცა ამიერ-კავკასიიდან 600 სული გადმოსახლებული რუსი აიყარა და დაბრუნდა უკან, რაც აიხსნება გადმომსახლებელ სამმართველოს შეცდომებით, მაგრამ სოფლელ რუსებს ამიერ კავკასიაში სამი წლის განმავლობაში მიემატათ ათი ათასი სული ახლად გადმოსახლებული, რომელნიც არ შეუშინდნენ შფოთიან დროს. ნამესტნიკი დარწმუნებულია, რომ ასეთი სულით ძლიერი ხალხი, გონივრულად დასახლებული იმ ადგილებზე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებთა [illegible], არ მიანებებენ. ამისი თავმდებია ის, რომ ახლად დასახლებულმა რუსებმა ამიერ-კავკასიაში არა თუ ხელი მიჰყვეს სამრეწველო მცენარეთ მიყვანას, არამედ მაგალითიც მისცეს მეზობელ თათრებს.

ფელეტონი

უცხოთა შორის

არა-ჩვეულებრივი მკვლელობა—პრეზიდენტ ფელიქს ფორის სიკვდილი და ქ-ნი სტეინგელი.—ქ-ნ სტეინგელის წარსული.—მკვლელობის ნამდვილი [illegible].—ოქტავ მირბო და მისი ახალი პიესა.—შინაარსი პიესისა.

მთელი ევროპა დღე-დღეზე ომს მოელის, დიპლომატები ნოტას-ნოტაზე უგზავნიან ერთმანეთს, ოსმალეთი, სპარსეთი, ავსტრია, სერბია, მაროკო, ჩინეთი, ინდოეთი—ყველა ეს დომხალივით აირია ერთმანეთში, ყველამ და ყველაფერმა ეხლა წამოჰყო თავი, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ დროს ერთი უდიდესი სახელმწიფო ევროპისა, საფრანგეთი, სულ სხვა რამეშია გართული. ერთმა მკვლელობამ მთელ საფრანგეთს დაავიწყა მახლობელი და შორეული აღმოსავლეთი და, ასე გასინჯეთ, მაროკოც-კი, სადაც მისი დაუძინებელი მტერი—გერმანია რაღაც ხრიკის გამოდებას უპირებს. ეს მკვლელობა საყურადღებოა და დამახასიათებელი და, მეტი არ იქნება, მოკლედ გავაცნოთ მკითხველებს.

წელს გაზაფხულზე, 31 მაისს, ღამე, პარიზში, მოჰკლეს მხატვარი სტეინგელი და მისი სიდედრი ჟაპი. ცოცხალი გადარჩა მხოლოდ ცოლი მხატვრისა და ქალი ჟაპისა—მარგარიტა სტეინგელი. როდესაც დილით სახლში შევიდნენ, მარგარიტა დაჰხვდათ მაგრა გათოკილი და ტახტზე დაბმული, ხოლო მისი ქმარი და დედა—მოკლული. სახე არეულმა და შეშინებულმა მარგარიტამ განაცხადა: წუხელ შუაღამისას შემოვიდა სამი კაცი და ერთი ქალი; ყველანი უბრალოდ იყვნენ ჩაცმულნი. მე არა მიყვეს-რა, რადგან ქალმა უბრძანა კაცებს—ამ ბავშვს ხელი არ ახლოთო. ალბად მე ჩემ ქალად თუ მიმიღეს (სტეინგელს 17—18 წლის ქალი ჰყავს), მხიარულად შემკრეს, მერე სხვა ოთახებში გავიდნენ და არ ვიცი, იქ რა ჰქნესო. იქ-კი, როგორცა ვთქვით, მოკლულნი აღმოჩნდნენ მხატვარი სტეინგელი და მისი სიდედრი. სახლი სულ გადაქოთებული აღმოჩნდა. დაელოთ კამოდები და ყუთები, გადმოენგრიათ საკუჭნაოები, წაეღოთ ძვირფასი ნივთები და სხვა.

ამ ამბავმა მაშინ ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ახმაურდნენ გაზეთები, დაფაცურდა პოლიცია, მაგრამ, რაკი ვერაფერი გამოირკვა, მიყუჩდა. გავიდა ამ ყოფაში შვიდი თვე და აი ეხლა ეს მკვლელობა ერთ უდიდეს საქმედ გადაიქცა და საფრანგეთი ისე გაერთო ამ საქმეში, როგორც ერთ დროს დრეიფუსის საქმეში იყო გართული. ასე გასინჯეთ, ზოგიერთი კიდეც უკავშირებს ამ მკვლელობას დრეიფუსის საქმეს.

* * *

თითქმის ათი წლის წინად, 1899 წელს 17 თებერვალს, საღამო ჟამს, პარიზში ელისეის სასახლეში უეცრად და სრულიად მოულოდნელად მოკვდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორი. მაშინ ამ მკვლელობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგი ამბობდა—მოწამლესო, ზოგი—თავი მოიკლაო, ზოგი კიდევ რას, ხოლო ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პრეზიდენტს გულის სიგანიერი (თუ სხვა რაღაც ამ ნაირი სენი) სჭირდა, უეცრად გული შეუღონდა და თავის კაბინეტში გარდაიცვალაო.

ასე გამოაცხადეს მაშინ ოფიციალურად, ნამდვილად კი საქმე, როგორც ეხლა გამოირკვა, სულ სხვანაირად მომხდარა.

პრეზიდენტს ფორს სასახლეში, თავის კაბინეტის გვერდზე, ერთი პატარა, მაგრამ კოხტად მორთული ოთახი ჰქონდა. ამ ოთახში იღებდა იგი ახლო მეგობრებს და მათ შორის, ერთ მეტად ლამაზ ქალს, რომელიც ყველაზე უფრო ხშირი სტუმარი იყო ამ ოთახისა. ხსენებულ დღეს, ნაშუადღევის ესე ექვს საათზე, ამ ოთახიდან რაღაც უცნაური წივილ-კივილი მოესმათ. ხმა გაიგონეს პრეზიდენტის მდივანმა და ორმა-სამმა მოსამსახურემ. შევიდნენ და ასეთი სურათი კი გადაეშალათ: პრეზიდენტი, უკვე მკვდარი, იატაკზე ეგდო, მის წინ ძალზე შეშინებული და აკანკალებული იდგა ნახევრად გახდილი ქალი, რომლის თმაშიაც პრეზიდენტს ხელი ჩაებღუჯა და აღარ უშვებდა. მოგეხსენებათ, რა ძნელია ისეთი დიდი კაცის პრესტიჟის დაცემა, როგორც პრეზიდენტი და თუმცა ახლად შესულნი ძალზე გაოცდნენ მკვდარ პრეზიდენტის დანახვაზე, მაგრამ უფრო გაოცდნენ, როდესაც მისი ზნეობის შემლახველი ასეთი სურათი იხილეს. ამიტომ ხელად დაფაცურდნენ: მოიტანეს მაკრატელი, ქალს თმა შეაჭრეს და პრეზიდენტის ხელი მოაშორეს, შემდეგ საიდუმლოდ პრეზიდენტის ცოლის გარდერობიდან ძვირფასი, ოცდა-ათი ათას მანეთად ღირებული წამოსასხამი მოიტანეს, ქალს წამოასხეს, უკანა კარებიდან ბაღში გაიყვანეს და იქიდან გააპარეს. ამას რომ მორჩნენ, პრეზიდენტს მოუარეს, ტანისამოსი გაუსწორეს, ხელიდან თმა გამოაცალეს, მიაწვინეს და რაწკა-რუწკი აუყენეს ტელეფონს—აცნობეს უმაღლეს მოხელეებს, ექიმებს და სხვებს—პრეზიდენტს გულის ფრიალი აუვარდა და უეცრად გარდაიცვალაო. მეორე დღეს ეს უეცარი, მაგრამ მაინც თუ შეიძლება ასე ითქვას, წესიერი სიკვდილი დეპეშის საშუალებით მთელ საფრანგეთს, ევროპას და დედამიწას გადასცეს.

ის კოხტა და ლამაზი ქალი, რომელთანაც პრეზიდენტს ასეთი საქმე დაემართა, გახლდათ ზემოდ-მოხსენებული მარგარიტა სტეინგელი, მაშინ ოცდა ექვსი, ოცდა შვიდი წლის მეტად მოხდენილი და შნოიანი ქალბატონი.

* * *

ათიოდე წლის წინად, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, პროვინციის ერთ მივარდნილ და მიყრუებულ ქალაქში მარგარიტა სტეინგელის დედას, ქ-ნ ჟაპს, რომელიც, როგორც აგიწერეთ, ამ შვიდი თვის წინად მოჰკლეს, ჰქონდა რესტორანი, თუ უკედ, ტრაქტირი, სახელად „წითელი ლომი". დახლში თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ლამაზი მარგარიტა იდგა და თავის ტრაქტირში სახლიდან დადიოდა; სულ ამ მარგარიტას წყალობით ახალგაზრდა ქალს ბევრი თაყვანის-მცემელი ჰყვანდა მაშინ. მუდმივ სტუმარი ტრაქტირისა იყვნენ მუშები, ხელოსნები, ხელ-მოკლე მოხელენი და ჯიბე-გახვრეტილი წარმომადგენელნი თავისუფალ პროფესიისა. სწორედ ასეთი იყო, სხვათა შორის, მხატვარი ადოლფ სტეინგელი, რომელმაც ერთ მშვენიერ დილას თუ საღამოს შეიხედა ტრაქტირში, დაინახა ლამაზი ქალი და სიყვარულის ალით აინთო. ერთ კვირაში ჯვარის წერა გაჩაღდა. დედამ სიხარულით მიათხოვა პირ-მშო, რადგან, ცოტა არ იყოს, ეშინოდა თავის „მოუსვენარ ქალისა".

საფრანგეთში ყველას იდეალს პარიზი შეადგენს და, რაღა თქმა უნდა, არც ლამაზი მარგარიტა სტეინგელი გაჩერდებოდა პროვინციის მივარდნილ ქალაქში. ცოლ-ქმარი პარიზში გადავიდა. ქმარს თითქმის არავითარი შემოსავალი არა ჰქონდა, რადგან იმის სურათებს მაგრე რიგად არ ეტანებოდა მუშტარი; მაგრამ არ გასულა სულ ნახევარი წელიწადი, რომ ლამაზმა ცოლმა ქმრის სურათებს მუშტარი უშოვნა. მალე მარგარიტას ბუზივით დაეხვივნენ თაყვანის მცემელნი, რომელნიც სიამოვნებით ყიდულობდნენ მისი ქმრის სტეინგელის სურათებს, იმდენად სიამოვნებით, რომ დახატვასაც კი ვერ ასწრობდა.

მალე ოჯახი დოვლათით აივსო. სამი-ოთხი ოთახის ნაცვლად, სტეინგელებმა მთელი სასახლე დაიჭირეს მრავალი მსახურით. მარგარიტა „მეგობრებს" თვეობით იცვლიდა, ამასთან სასტიკად იცავდა თანდათანობას: შეძლებულ მეგობრიდან მდიდარზე გადადიოდა, მდიდრიდან მილიონერზე და ბოლოს პრეზიდენტის სასახლემდისაც მიცოცდა. მაშინ ხომ მთელ პარიზში გაითქვა სახელი. მის სალონში ბუზივით ირეოდნენ მინისტრები, დიპლომატები, დეპუტატები, უპირველესი მხატვრები, ლიტერატორები და სხვები. ბოლოს რით გათავდა ეს განცხრომით ცხოვრება, უკვე იცით ზემოდ წერილიდან.

* * *

ეხლა ისევ მკვლელობის ისტორიას დაუბრუნდეთ. როგორც მოგახსენეთ, სტეინგელისა და მისი სიდედრის მოკვლის შემდეგ მთელი შვიდი თვე გავიდა, მაგრამ მკვლელებისა ვერა გაიგეს-რა. გასულ ნოემბერში გაზეთებში დაიბეჭდა წერილი მარგარიტა სტეინგელისა, რომელიც დიდის ამბით ჰკიცხავდა პოლიციას და გამომძიებელს—არას აკეთებენ და მკვლელებს არ ეძებენო. ამასთან ფიცსა სდებდა, ეხლა მე თვითონ შეუდგები და უსათუოდ აღმოვაჩენ მკვლელებსაო. ბევრმა შეიბრალა მაშინ ქვრივი—საწყალი, რანაირად იტანჯებაო. გავიდა ორიოდე დღე და ქვრივმა კიდევ დაბეჭდა წერილი—ნამდვილად ვიპოვნე ქურდები, და ვიღაც მოხეტიალე არტისტებზე მიუთითა პოლიციას. ეს უკანასკნელი დაფაცურდა, „დამნაშავენი" დააპატიმრა, მაგრამ იმავე დღეს გამოირკვა, რომ ისინი ცოდვის მართალნი იყვნენ. ერთი კვირის შემდეგ ქვრივმა მესამე წერილი დაბეჭდა—ახლა ვიღაც ამერიკელი ჟურნალისტი დაასახელა მკვლელად. არც ეს გამართლდა. მერე ქვრივმა თავის მოახლის შვილს ჩასჭიდა ხელი და ბოლოს თავის ლაქიას, რო-

ყველა ამის გამო ნამესტნიკი ამტკიცებს, რომ რევოლიუციონური მოძრაობა კავკასიაში, რომელიც შიდა გუბერნიების მოძრაობასთან ერთად მოხდა, მოკლებული იყო ტენდენციას რუსების განდევნისას ტერორისა და [illegible] საშუალებით. თავის გავრცელებით მოძრაობა კავკასიაში, როგორც იმპერიის სხვა ნაწილებში, მიმართული იყო უმთავრესად პოლიციასა, ჯარსა და ადმინისტრაციის წევრების მიმართ. სამი წლის განმავლობაში კავკასიაში მოკლულ იქნა 571 თანამდებობის კაცი. ეს რიცხვი, ეჭვი არ არის დიდია, რადგან ნამდვილი ცნობები არ არის რუსეთის სხვა ადგილების ტერორისტულ აქტებს შესახებ, ამიტომ არც შედარება შეიძლება კავკასიასა და სხვა ადგილებში მომხდარ ამბებისა. ნამესტნიკი თავისმხრივ დარწმუნებულია, რომ პოლიციის მხრით საკმაო წინასწარ ზომების მიუღებლობა აიხსნება სამსახურის მძიმე პირობებით კავკასიაში, განსაკუთრებით იმ რუს-პოლიციელთათვის რომელთაც ადგილობრივი ენები არ იციან. კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ არა ერთხელ აღძრა საკითხი პოლიციის გაძლიერებასა და მის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ ყოველთვის უარი მოსდიოდა. კავკასიის პოლიციის სიმცირისა გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ ეს პოლიცია ქონებრივად უზრუნველ-ყოფილი არ არის, იგი იმაზე მეტს ვერ გააკეთებდა, რაც გააკეთა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ პოლიციაში ისეთი ელემენტები არიან, რომელთაც ვერ მოახერხეს თავიანთ სამშობლოში უკეთ მოწყობა. ამის გამო პოლიციელების დაჭრა-მოკვლას ყოველთვის არა ჰქონია პოლიტიკური სარჩული, ხშირად ასეთი აქტი შედეგი იყო პირად შურის-ძიებისა. ნამესტნიკს იმედი აქვს, რომ სათათბირო კავკასიის პოლიციის არა-ნორმალურ მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევს მაშინ, როცა განიხილავს უკვე წარმოდგენილ მოხსენებას ტფილისის პოლიციის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების შესახებ. [illegible]

ტერორისტულ აქტებზე ლაპარაკის დროს არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ პოლიციის მოხელეთა მკვლელობის დროს გარჩევა არ იყო, რა ეროვნებას ეკუთვნოდნენ მოკლულ-დაჭრილნი. ამის დასამტკიცებლად, იმის გარდა, რომ დახოცეს ცნობილი გენერლები მაჰმადიანი ალიხანოვი, ქართველი ყარანგოზიშვილი, გურული ნაკაშიძე, მოვიყვან სტატისტიკურ ცნობას: ამიერ-კავკასიაში რუსი პოლიციელი მოჰკლეს 51 პროცენტი, ადგილობრივი მკვიდრი—49 პროცენტი.

ნამესტნიკის იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ კავკასიაში არ არსებობს ლტოლვილება ნამდვილ რუსთა დევნისა, გამოდგება ის 15 შემთხვევა მკვლელობისა, რომელიც აღნიშნულია 38 დეპუტატის შეკითხვაში. ბარონ ნოლდეს მოჰყავს დაწვრილებითი დახასიათება თითოეულ იმ მკვლელობისა, რომელნიც შეკითხვაშია აღნიშნული და იმ დასკვნამდის მიდის, რომ მის მიერ მოყვანილი საბუთები სრულიად აქარწყლებენ შეკითხვაში აღნიშნულს დასკვნას, ვითომ ადგილობრივი მთავრობა გამოუძიებლად და დაუსჯელად სტოვებდეს კავკასიაში მომხდარ ბოროტ-მოქმედებებს.

ასევე უსაფუძვლოა საყვედური იმის გამო, ვითომ სატუსაღოებიდან პატიმრების გაქცევის დროს ადმინისტრაცია უმოქმედობას იჩენდეს. ნამესტნიკი თავის მოვალეობად სთვლის შენიშნოს, რომ ყველა იმათ, ვინც დამნაშავენი არიან ტუსაღების გაქცევაში, პასუხის მგებლობაში აძლევენ და ამას გარდა მარტო კავკასიის სატუსაღოებიდან არ გარბიან ტუსაღები. რომ ჩამოვთვალოთ მაგალითები იმისა, თუ კავკასიაში ადმინისტრაციას რამდენჯერ შეუტყვია ტუსაღების გაქცევის განზრახვა და ამისათვის შესაფერი ზომები მიუღია, განცვიფრებაში მოხვალთ, რომ ასე ნაკლებად დაჯილდოვებული ადმინისტრაცია ამდენ მუყაითობასა და მოუსყიდველობას იჩენს. სატუსაღოებში ერთი ორად და ერთი სამად იმაზე მეტი ტუსაღია—რამდენიც უნდა იყოს და ამ ტუსაღებში ბევრია ისეთი, რომელთა მეგობრებიც არაფერს ზოგავენ, არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან, ოღონდ ტუსაღი [illegible]

ბარონ ნოლდეს მოჰყავს ნათქვამის დასამტკიცებელი საბუთები. ეს საბუთები ნათლად ასურათებენ იმ სამწუხარო მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება ამიერ-კავკასიის სატუსაღოები.

ჯერ კიდევ 1903 წელს იყო აღძრული საერთო საკითხი ამიერ-კავკასიის სატუსაღოების შტატების გადათვალიერების შესახებ, მაგრამ ამ საკითხმა თავის დროზე ვერ მიიღო სასურველი მსვლელობა, რადგან სახელმწიფო ხაზინა გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო. ეს საკითხი ეხლა ხელმეორედ გადასინჯულ იქმნა და იუსტიციის მინისტრს უკვე ეცნობა საკანონმდებლო მსვლელობის მისაცემად განზრახვანი კავკასიის ადმინისტრაციისა საპატიმროებში ადმინისტრაციის და დარაჯების რიცხვის გაძლიერების შესახებ. ყველა ზემონათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ, ჯერ ერთი, რევოლუციონური მოძრაობა თანდათან სუსტდება, მიღებულია ყველა ზომა მასთან საბრძოლველად; სეპარატისტული მიდრეკილება კავკასიის ხალხთა კერძო ჯგუფებისა არავითარ რეალურ მოქმედებაში არ გამოიხატება და მშვიდობიანი რუსის მცხოვრებნი რევოლიუციონურ მოძრაობისაგან ნაკლებად დაზარალდნენ, ვიდრე ადგილობრივი მკვიდრნი; მეორე—ტერორისტული აქტები, მიმართული სხვა და სხვა პირთა წინააღმდეგ, განურჩევლად ეროვნებისა, ეხლა თანდათან მცირდება, ამ უკანასკნელ დროში ნაკლებად ხმარობენ ასეთ აქტების დროს საზოგადოთ მავნებელ დიდ-ძალიან ასაფეთქებელ ნივთიერებას. მესამე—ბოროტ-მოქმედთა შესაპყრობად და ტუსაღების გაქცევის წინააღმდეგ ზომებია მიღებული და დამნაშავე პირები პასუხის მგებლობაში ეძლევიან. თუ ეს ზომები, სამწუხაროდ, ყოველთვის მიზანს ვერ აღწევენ, მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ არა ადმინისტრაციის უმოქმედობაში, არამედ იმ მეტად განსაკუთრებულ პირობებში, რომლებშიაც ადმინისტრაციას უხდება სამსახურის ასრულება; ამიტომ ცოდვაა მთავრობის დაბალ მოხელეთ ის მოვთხოვოთ, რაც მათ არ შეუძლიანთ, მით უმეტეს, რომ დღევანდელი დროის მიხედვით, ქვეყნის [illegible] უზრუნველყოფილი არ არის. ზოგიერთები სიცოცხლესა სწირავენ სამსახურის ასრულების დროს. ნამესტნიკი, გრძნობს რა ადგილობრივ ადმინისტრაციის სუსტ მხარეებსაც, ყოველ საშუალებითა სცდილობს დააყენოს საქმე რიგიანად. ისინი, რომელნიც თავიანთ დანიშნულებას არ შეეფერებიან, სამსახურიდან იდევნებიან, და თუ სამსახურის ასრულების დროს რაიმე ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენენ, პასუხის მგებლობაში იძლევიან. სასამართლოს წესით თუ უხეირო ელემენტების განდევნა, ერთის მხრივ, აჩენს უკმაყოფილოებას, რომელნიც სხვა და სხვა არაკებს ავრცელებენ კავკასიაზე, მეორეს მხრივ, ნამესტნიკის აზრით, ასეთმა განდევნამ უნდა განამტკიცოს კავკასიის მცხოვრებლებში რუსეთის სახელმწიფოებრივი იდეა. საუბედუროდ, კავკასიაში პატიოსან რუს-მოხელეების მოწვევა ძნელია, რადგან აწ არსებული სამსახურის უპირატესობანი განაპირა ქვეყნებში სრული არ არის. საჭიროა კი, რომ განაპირა ქვეყნებისა და ცენტრს შორის დამოკიდებულება არსებობდეს გამოცდილ მოხელეების მეოხებით. საჭიროა აგრეთვე საფუძვლიანი რეორგანიზაცია კავკასიის ეხლანდელ მთავრობისა და სასამართლო დაწესებულებებისა. ესენი იმპერიის საერთო დაწესებულებებს უნდა დაუახლოვონ. ნამესტნიკის ასეთ განზრახვის განსახორციელებლად ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ფულს არგუნებენ კანონმდებელი დაწესებულებანი კავკასიას. კავკასიაზე გადადებული ფული დაუბრუნდება იმპერიას მოგებით. ამ ჟამად ნამესტნიკი მოვალედ ჰრაცხს თავს განაცხადოს, რომ იგი დაუღალავად მილტვის, დაამშვიდოს საერთო რუსეთის არეულებით შეპყრობილი კავკასია იმპერიასთან მჭიდროდ შეერთებითაო.

ბოლოს ნოლდემ განაცხადა: ნება მიბოძეთ, რამდენიმე წუთით კიდევ მოვიქციო თქვენი ყურადღება. მე მსურს ვისარგებლო მესამე სათათბიროში ჩემის პირველ შემოსვლით და მოკლედ გაგაცნოთ ის რეფორმები, რომელიც განზრახულია კავკასიისთვის. ნამესტნიკის მომავალი რეფორმები უმთავრესად იმისკენ არის მიმართული, რომ კავკასიაში შემოღებულ იქმნენ ისეთი დაწესებულებანი, [illegible] სეთს ჩამორჩა. პირველ ყოვლისა, უნდა მოსპობილ იქმნას მხოლოდ კავკასიაში დარჩენილი ბატონყმობის ნაშთები—გლეხთა დროებით ვალდებული დამოკიდებულება ყოფილ ბატონებთან. ეს დარჩენილი ნაშთები სოფლის მცხოვრებთა სხვა და სხვა წოდების ურთი-ერთ დამოკიდებულებას სწამლავს და არეულობას ჰბადებს. ნამესტნიკის მოხსენებანი ამის შესახებ ირჩეოდა მინისტრთა საბჭოში და ეხლა თავდება კანონ-პროექტის შემუშავება.

უკანასკნელმა ამბებმა ნათლად დაამტკიცეს ნამესტნიკის შეხედულების სიმართლე, რომ საჭიროა ხალხში განმტკიცდეს აზრი მიწის საკუთრების შესახებ. კავკასიაში, სადაც სახელმწიფო გლეხებს მიწას აძლევენ საკუთრებად კი არა, არამედ დასამუშავებლად, სადაც რამდენიმე (შემდეგ დაპყრობილი) ოლქი ხაზინის საკუთრებად გამოაცხადეს, საჭიროა მოწეს-რიგება მიწის მფლობელობისა. ამ აზრით ნამესტნიკი საჭიროდ სცნობს მიწის გამმიჯნველ ორგანოების დახმარებით, საკუთრებად დაეთმოთ მცხოვრებთ ადგილები. კავკასიის ზოგიერთ ადგილებში გამარტივებული მმართველობანი მოქმედებენ, რის გამოც დაუკმაყოფილებელი რჩება ადგილობრივი მოთხოვნილებანი. ღრმად დარწმუნებულია რა კავკასიის ადმინისტრატიულ მექანიზმის გაუმჯობესების საჭიროებაში, გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი, ამ საკითხის შესახებ თავის შეხედულებების შემოტანამდე, მოუთმენლად ელის, რომ საკანონ-მდებლო დაწესებულებებმა ნათლად გამოსთქვან თავიანთი შეხედულება შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შემუშავებულ საგუბერნიო რეფორმის კანონ-პროექტზე, რომელთან ერთადაც კავკასიის ადგილობრივი რეფორმები უნდა იყოს გათვალისწინებულნი. ამგვარსავე მდგომარეობაშია საკითხი კავკასიაში ასეთ თუ ისეთ საერობო დაწესებულებათა შემოღებისა. ეს დაწესებულებები ნამესტნიკის აზრით, დიდ სარგებლობას მოუტანენ ადგილობრივ მცხოვრებთ. თუმცა საჭიროა სიფრთხილისა გამო, კავკასიაში ერობის შემოღება გადადებულ იქმნას იმ დრომდე, სანამ იმპერიის შიდა გუბერნიებისთვის განახლებული საერობო რეფორმა მოხდებოდეს. ნამესტნიკის მოსაზრებანი კავკასიაში მართლ-მსაჯულების საქმის გაუმჯობესების შესახებ გადაეცა იუსტიციის სამინისტროს, რომლის შრომაც, უეჭველია, დამოკიდებული იქმნება იმაზე, თუ რითი დაბოლოვდება საქმე ადგილობრივ სასამართლოების რეფორმისა. კავკასიის მწარმოებელ ძალების სიმდიდრესთან ერთად საჭიროა, რომ მიღებულ იქმნას ზომები კავკასიის ეკონომიურად ამაღლებისთვის. ნამესტნიკს საჭიროდ მიაჩნია კავკასიაში რკინის გზების გამრავლება და კავკასიონის მთაზე რკინის გზის განხორციელება ამიერ კავკასიის დაკავშირებისთვის იმპერიის ცენტრთან. ამასთან ერთად ნამესტნიკმა მოითხოვა საკანონმდებლო დაწესებულებისაგან ხარჯი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის უდაბნო ადგილებში სარწყავ არხების გასაყვანად, გადასახლებულთათვის გზების გაკეთება ჯერ კიდევ დაუსახლებელ ჩერნომორის გუბერნიაში. ამ ზომების განხორციელება, აღამაღლებს რა კავკასიის ეკონომიურად და რუსეთის სახალხო მეურნეობას, კიდევ იმითია საჭირო, რომ მჭიდროთ დაკავშირებულია კავკასიის აღნიშნულ ნაწილების რუსების გადმოსახლების საქმესთან.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 დეკემბერი.

ოსმალეთი

პარლამენტის გახსნა.

სტამბოლი. დილის 10 საათზე დიდი ვეზირი მივიდა ილდიზ-კიოსკში და სახალხო წარმომადგენელთა სახელით მიიწვია სულთანი პარლამენტში. სულთანი სადღესასწაულო ეტლით, მემკვიდრის, პრინცების და დიდი ვეზირის თანხლებით, გაემართა პარლამენტისაკენ. ხალხი ტაშისცემით და ყვირილით ეგებებოდა სულთანსა და ჯარებს. პარლამენტის გახსნას გამო ყველა სამინისტროები, დაწესებულებანი, სკოლები და მაღაზიები დაკეტილია. საელჩოები, სამხედრო და სავაჭრო გემები ზღვაზე, დაწესებულებანი და ბევრი კერძო სახლი ბაირაღებითაა მორთული. ჯარები და მოწაფეები ყველა სკოლებისა რიგ-რიგად დამწკრივებულნი არიან ქუჩებში. აუარებელი ხალხია პროვინციებიდანაც ჩამოსული. მიუხედავად ამისა წესრიგი საუცხოვოა. დეპუტატებს ხალხი მხურვალე ოვაციებით ეგებება.

ყველა ელჩები თავის მხლებლებით ინგლისის საელჩოში შეიკრიბნენ და ერთად, გერმანიის ელჩის წინამძღოლობით, გაემგზავრნენ პარლამენტში. ელჩებსაც ხალხი ტაშისცემით ეგებებოდა.

სულთანი პარლამენტში მივიდა 1-ლ საათზე; მას მიეგებნენ ოსმალურის

მელიც მკვლელობის ღამეს იმავე სახლში ყოფილიყო, მხოლოდ ზემო სართულში. ლაქიის თითქოს დამამტკიცებელი საბუთიც უპოვნეს—იმის ნივთებში, გაჩხრეკის დროს, აღმოჩნდა ქვრივის ერთი ძვირფასი მარგალიტი—აიო, სთქვა ქვრივმა, ლაქიამ მოჰკლა ჩემი ქმარი და დედა, გაგვძარცვა და, სხვათა შორის, ეს მარგალიტიც წაიღოო.

მაგრამ გავიდა ორი დღე და სულ სხვა რამ გამოირკვა: გამომძიებელთან გამოცხადდა ერთი ოქრო-მჭედელი და სთქვა, მკვლელობის შემდეგ სტეინგელის ქვრივმა სწორედ ეგ მარგალიტი და მასთან ერთად სხვა ძვირფასი თვლები მომიტანა, გადმომცა შესანახად და მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინად წაიღო უკანვეო. თურმე ნუ იტყვით, თითონ ქვრივს დაუმალავს ლაქიის ნივთებში მარგალიტი, რომ მკვლელობა მისთვის მოეხვია თავზე. ეხლა ქვრივი აცხადებს თურმე—მართალია, მე ჩავიდინე ეგ საქმე, მაგრამ იმიტომ, რომ ეჭვი მაქვს ლაქიაზე და მინდოდა გამომძიებლის ყურადღება მიმექციაო.

საქმე ჯერ არ გათავებულა, მაგრამ გაზეთებმა, რომელთაც საფრანგეთში მაძებარ პოლიციაზე უფრო კარგი აგენტები ჰყავთ, უკვე გამოარკვიეს ამ მკვლელობის სარჩული. მათის სიტყვით, მარგარიტა სტეინგელს ამ ერთი წლის წინად ახალი „მეგობარი" უშოვნია—მილიონერი მორის ბორდერელი. პრეზიდენტს სიკვდილის შემდეგ მარგარიტას აქციები, ცოტა არ იყოს, დაცემულა და უკვე მხიარულ და მდიდარ ცხოვრებას მიჩვეულს, განუზრახავს თავის ქმრისა და დედის თავიდან მოშორება, რომ ამ მილიონერს მისთხოვებოდა და მისის მილიონებით გული ეჯერებინა. ჯერ-ჯერობით დაჰეშმარიტებით არ იციან, მკვლელობა თითონ მარგარიტა სტეინგელმა ჩაიდინა თუ დაქირავებულ კაცებს ჩაადენინა, მაგრამ ისკი უეჭველად მიაჩნიათ, რომ ამ მკვლელობის ავანჩავანი, დამწყობი და გამთავებელი თითონ მარგარიტა სტეინგელია. ამბობენ, ახალ საქმროს ბორდერელს უთქვამს ქვრივისთვის, ცოლად მაშინ შეგირთავ, როცა მკვლელობაში თავს იმართლებო. სწორედ ესა ყოფილა მიზეზი, რომ ქვრივი ხან ერთს ადებდა ხელს, ხან მეორეს.

ასეა თუ ისე, ამ საქმემ მთელი საფრანგეთის გულის-ყური მიიპყრო. საყურადღებოა ამ შემთხვევაში რესპუბლიკის მტრების განგაში. მათ სულ სხვა თვალით შეხედეს ამ საქმეს. ესენი წინადაც ამბობდნენ, რომ პრეზიდენტი ფელიქს ფორი დრეიფუსის მომხრეებმა მოწამლეს, რადგან იგი დრეიფუსის საქმის გადათვალიერების წინააღმდეგი იყოო. რაკი გაიგეს ეხლა, რა პირობებში მოკვდა პრეზიდენტი, მათ ერთი აურ-ზაური ასტეხეს—სწორედ მარგარიტა სტეინგელი იყო ის ქალი, რომელიც დრეიფუსის მომხრეებმა პრეზიდენტს მიუჩინეს და ბოლოს მოაწამლინესო.

⁂

ამ საქმემ საფრანგეთის მაღალ და მდიდარ წრეების ათასი გარყვნილება, სისაძაგლე, ჭუჭყი და ტალახი გამოჰფინა, მართალია, ეს წინადაც არავისთვის იყო საიდუმლო, მაგრამ სინამდვილემ თითქმის მოლოდინს გადააჭარბა.

ამას წინად პარიზში წარმოადგინეს ოქტავ მირბოს ახალი პიესა. შინაარსი პიესისა იგივეა, რაც მირბოს სხვა ნაწარმოების შინაარსი—მაღალ და მდიდარ წრეების გარყვნილება, დაცემა და გათახსირება. ბევრი გაზეთი უსაყვედურებს მირბოს—გადააჭარბაო, მაგრამ პიესის შინაარს თუ შეუდარებთ იმას, რაც სტეინგელის საქმემ გამოარკვია, იგი მკრთალადაც მოგეჩვენებათ.

ოქტავ მირბო ერთი უნიჭიერესი მწერალია ფრანგებისა. დღემდე თითქმის არც ერთ მწერალს ისე სასტიკად არ გაუკიცხავს თანამედროვე ბურჟუაზია, როგორც ამას ოქტავ მირბო სჩადის თავის ნაწერებში. ვისაც მისი „მოახლის დღიური", „საქმის კაცი" (ეს პიესა ქართულადაც არის თარგმნილი), „ცუდი მოძღვრები" და სხვა ნაწარმოებანი წაუკითხნია, კარგად ეცოდინება, რა დაურიდებელი წერა იცის მირბომ. იგი შეურიგებელი მტერია თანამედროვე მორალისა, თანამედროვე ბურჟუაზიისა და, საზოგადოდ, წესწყობილებისა.

მირბოს ახალ პიესის გმირად გამოყვანილია საზოგადო მოღვაწე—სენატორი და უკვდავთა აკადემიის წევრი. მაგრამ ვიდრე პიესის შინაარს მოვიყვანდე ორიოდე სიტყვას ვიტყვი მის წარმოდგენის ისტორიაზე.

პიესა წარმოადგინეს საფრანგეთის უპირველესს და ოფიციალურ თეატრში—„კომედი ფრანსე"-ში, რომლის მთავარი დირექტორი ჟიულ კლარტი, აგრეთვე უკვდავთა აკადემიის წევრია. თავისი პიესა მირბომ კლარტის წარუდგინა. კლარტიმ-კი გულ-დასმით ვერ წაიკითხა. თუ სულ არ წაიკითხა, თანხმობა განაცხადა პიესის წარმოდგენაზე, მაგრამ რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ, როდესაც შინაარსს დააკვირდა, შეუძლებლად სცნო მისი დადგმა. კლარტიმ წინადადება მისცა მირბოს, შეემსუბუქებინა სასტიკი ადგილები და, საზოგადოდ, „ზომიერებისა და გონიერების" საზღვრები დაეცვა, მაგრამ მირბომ ამაზე ცივი უარი განაცხადა. მთელი ერთი კვირა ეხვეწა თურმე კლარტი შესწორებას, ემუდარებოდა, პიესის გმირს უკვდავთა აკადემიის წევრად მაინც ნუ გამოიყვანო, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს გადაჭრილი უარი შეუთვალა პიესის დადგმაზე. მირბომ მაშინ სასამართლოს მიმართა, რომელმაც საქმე იმის სასარგებლოდ გადასწყვიტა. მოსამართლემ დაადგინა: რაკი პიესა თეატრმა მიიღო და რეპეტიციებიც გამართა, უნდა დასდგას კიდეც ან ჯარიმა გადაიხადოსო. ჯარიმა კი რამდენიმე ათი ათასი მანეთი იყო. ამოდენა ჯარიმის გადახდა ძალიან ეძნელა თეატრს და ამიტომ იძულებული გახდა პიესა შეუსწორებლად წარმოედგინა.

⁂

სახელად პიესას „კერა" ჰქვიან. მთავარი გმირი პიესისა, როგორც ვთქვით, სენატორი და აკადემიკოსია, ბარონი კურტენე. ბარონს დიდი სახელი აქვს გავარდნილ მოღვაწისა და ქველმოქმედისა, მაგრამ მისი შინაური ცხოვრება და საქმენი-საგმირონი თითქმის არავინ იცის. მისი ცოლი ერთსა და იმავე დროს ორი კაცის საყვარელია—ბანკირის ბირონისა და სოციალისტ-დეპუტატისა. ქმარმა,—სენატორმა და აკადემიკოსმა,—ყველაფერი იცის, მაგრამ არაფერს ამბობს, რადგან ასეთი კავშირი თავისთვის სარფიან და სასარგებლოდ მიაჩნია.

ბარონ კორტენეს აბარია ერთი საქველმოქმედო დაწესებულება, პატარა და ობოლ ქალთა თავშესაფარი—„კერა". ამ თავშესაფარის უფროსად კურტენს ჰყავს გარყვნილი და გაფუჭებული ქალი. იგი სცემს, აწამებს, სტანჯავს ბავშვებს და მრავალ სხვა სისაძაგლესაც სჩადის. სხვათა შორის თავშესაფარში ასეთი ამბავი ხდება: ერთ ბავშვს რაღაც დანაშაულისათვის ბნელ ოთახში ამწყვდევენ მაგრამ ავიწყდებათ და როდესაც დღე ღამის შემდეგ შედიან ოთახში, ბავშვი მკვდარი დახვდებათ. ამ სისაძაგლემ აბატისა და პროფესორის ყურამდე მიაღწია. ბარონს ბავშვის სიკვდილი როდი აღარდებს, იცის, რომ ასეთ უბრალო რამეზე პროკურორი აკადემიკოსსა და სენატორს არ გასწირავს, მას აწუხებს და აშინებს რევიზია, რადგან თავშესაფარის ფულიდან ასი ათას მანეთზე მეტი აქვს შეჭმული.

ეს გარემოება ჭირის ოფლს ასხამს ბარონს. აღარ იცის, რა ჰქნას. ბოლოს ცოლს იხმობს. საინტერესოა ეს სცენა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცოლმა, სოციალისტ-დეპუტატით გატაცებულმა, ბანკირთან კავშირზე ხელი აიღო და თითქმის დაითხოვა იგი. ქმარი სთხოვს ცოლს, კვლავ დაუახლოვდეს ბანკირს და ფული გამოართვას გაფლანგულის შესავსებად. ცოლი დიდ უარზეა და პირდაპირ ეუბნება ქმარს. „აღარ შემიძლია იმ საყვარლის დანახვა, რომელთაც ჭირივით შემძულდაო?... რაკი ვერას გახდება, ბარონი თითონ მიდის ბანკირთან, ეხვეწება—ფული მომეცი, უბედურებას და სკანდალს გადამარჩინეო. მაგრამ ბანკირი ულმობელია და ცივ უარს ეუბნება—ჩემთვის სულ ერთია, დაიღუპები თუ არაო. დალონებული ბანკირი შინ ბრუნდება და კვლავ ცოლსა სთხოვს შველას; ბარონესსა ბოლოს თანხმდება, მიდის ბანკირთან, ფულს შოულობს და ასეთის გზით განსაცდელისაგან იხსნის ქმარს. ქმარიც კმაყოფილია.

საინტერესოა ის სცენაც, სადაც ბანკირსა და ბარონესას აქვთ ლაპარაკი. ბანკირი ეუბნება ქალს—მე მაინცა და მაინც ეჭვიანი ხასიათი არა მაქვს და სულაც არა ვარ წინააღმდეგი, რომ სოციალისტ-დეპუტატთანაც იქონიო კავშირიო...

პიესა იმითი თავდება, რომ ბანკირი სამივეს—ბარონსაც, მის ცოლსაც და სოციალისტ-დეპუტატსაც—თავის გემზე ეპატიჟება ხანგრძლივ სასეირნოდ ზღვაში და ყველანი სიამოვნებით ეგებებიან ამ წინადადებას, განსაკუთრებით კი ბარონი კურტენე, რომელიც ამბობს, ამ მოგზაურობის დროს შევიმუშავებ აკადემიაში წარმოსათქმელ სიტყვასაო. ახლა არ იკითხავთ, რა არის თემა ამ სიტყვისა: „კეთილ ზნეობის ქებათა-ქება".

დიახ, ბარონმა კურტენემ, ამ ყოვლად გარყვნილმა და გათახსირებულმა კაცმა, რომელმაც ფულზე საკუთარი ცოლიც კი გაჰყიდა, სიტყვა უნდა წარმოსთქვას უკვდავთა აკადემიაში და ქებათა-ქება შეასხას კეთილ ზნეობას...

ასეა ცხოვრებაშიაც. ზოსიმე

ეროვნული

მარშით; ჯარები მიესალმნენ შენობის წინ. სულთანი ოქროს თახის გავით შევიდა პარლამენტში, საიმპერატორო ლოჟაში, და თავი დაუკრა შეკრებილ დეპუტატებს. დეპუტატები ჩუმად წამოდგნენ. სიჩუმე არ დარღვეულა, სანამ მდივანი სულთნის სიტყვა-სიტყვას კითხულობდა.

სიტყვა-სიტყვის შინაარსი: „ოცდაათი წლის წინად მე მომივიდა კონსტიტუცია ოსმალეთში, მაგრამ მირჩიეს, მისი შეჩერება რადგან ხალხი არაა ჯერ მომზადებულიო. ეხლა-კი დავრწმუნდი, რომ ხალხი მზადაა; ამიტომ განვაახლე კონსტიტუციის მოქმედება, რომელიც ყოველთვის იარსებებს. ჩემის აზრის განსახორციელებლად დავნიშნე ქიამილ-ფაშას კაბინეტი. საკონსტიტუციო ხანის დაწყებას ჩრდილი მიაყენა ბულგარიის მეფემ, რუმელიის გუბერნატორმა ფერდინანდმა, რომელმაც დაარღვია სამშობლოსადმი ერთგულება, და აგრეთვე ავსტრ-ჰუნგრეთმა, რომელმაც ბერლინის ტრაქტატი დაარღვია ბოსნია-ჰერცოგოვინას შეერთებით. მაგრამ იმედი მაქვს, რომ უცხო სახელმწიფოთა დახმარებით ჩემი მთავრობა პარლამენტთან ერთად ამ ძნელ საქმეებს გამოარკვევს. თქვენ უნდა განიხილოთ ბიუჯეტი მომავალ წლისათვის; ფინანსიური მდგომარეობა ჩვენის სახელმწიფოსი დიდის ყურადღების ღირსია თქვენის მხრით. საჭიროა აგრეთვე, რომ ჯარი და ფლოტი სათანადო სიმაღლეზე იდგნენ. ამის გამო თქვენ წარმოგიდგინებათ კანონპროექტები. ვაცხადებ პარლამენტს გახსნილად და ვთხოვ მოწყალე ღმერთს აკურთხოს თქვენი მუშაობა“. დეპუტატები ტაშისცემით შეეგებნენ სიტყვა-სიტყვას. ამის შემდეგ უხუცესმა სასულიერო პირმა ლოცვა წაიკითხა და ყველა დამსწრეთ წარმოსთქვეს „ამინ“-ო. სულთანი რამდენიმე სიტყვით მიესალმა დეპუტატებს, სიხარული გამოაცხადა და ბოლოს თავი დაუკრა ყველას და პარლამენტიდან გავიდა.

ერთის საათის შემდეგ გაიხსნა პირველი სხდომა ოსმალეთის პარლამენტისა. თავმჯდომარეობდა უხუცესი დეპუტატი ხეკკი-ეფენდი. პარლამენტი გაიყო ხუთ განყოფილებად დეპუტატთა მანდატების შესამოწმებლად. შემდეგ სხდომა შაბათამდის გადიდვა; მაშინ მოხდება პრეზიდიუმის არჩევა.

საღამოს ქალაქი უმშვენიერად იყო განათებული.

სპარსეთი

თავრიზი. ვინ-ულ-დოულეს ბანაკში დღეს მოვიდა 250 ცხენოსანი ნუგუინეს მოდგმისა, კავკასის პროვინციიდან. მარანდაში გუშინ შურისძიებით 60 დუქანი გადასწვეს.

ბალკანეთი

ვენა. დეპუტატთა პალატა. კამათი კანონ-პროექტის ჩქარა განხილვისა და შემოერთების შესახებ. თავადი ლიხტენშტეინი აცხადებს: არც ბერლინის კონგრესზე, არც შემდეგ ევროპა დროებითად არ სთვლიდა ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დაჭერას. რამდენისამე წლის წინად ეს დაჭერა არავის მხრივ არ გამოიწვევდა სერიოზულ პროტესტს, განსაკუთრებით კი რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ნაკლებ კეთილ-სინიდისური მეგობრობის მოყვარული სახელმწიფო უეჭველად ისარგებლებდა რუსეთის იმ დროინდელ გაჭირვებულ მდგომარეობით; ავსტრო-ჰუნგრეთმა კი ხელიდან გაუშვა ეს მისთვის სასარგებლო პოლიტიკური მომენტი პატიოსნების დასაცველად, რადგან რუსეთთან მიურცშტეგის ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული. ორატორი ამბობს: საკითხის ერთად-ერთი გადაწყვეტაა: ბოსნია არ შეუერთდეს მონარქიის არც ერთ ნაწილს, არამედ შეუერთდეს თავისუფალ თვითმმართველობით სერბია-ხორვატიის ხალხს ავსტრიის იმპერატორის სკიპტრას ქვეშ.

ვენა. დეპუტატთა პალატა. ჩეხელ სოციალ-დემოკრატთა მეთაური პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ შეერთება ხალხის და წარმომადგენლობით დაწესებულებათა დაუკითხავად მოხდა და აღნიშნავს შემოერთების პოლიტიკურ და ეკონომიურ მავნე შედეგს. შემოერთების ნამდვილ მიზეზად იგი ასახელებს არქიეპისკოპოსს შტადლერს, რომელიც ამნაირად კათოლიკეთა ინტერესების განმტკიცებას სცდილობს. ორატორის აზრით, ავსტრიამ უეჭველად უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაში, რათა ყოველი საშუალებით აიცდინოს ომიანობის შიში. ჩეხის სოციალის-ნაციონალისტი კლოფაჩი ამბობს, რომ ავსტრიის მდგომარეობა გამოიცვალა 1866—78 წ.წ. შემდეგ, ხალხის ნაციონალური შეგნება განმტკიცდა. ავსტრიისათვის შეუძლებელია თავის გერმანელ სალდათების გზავნა პრუსიელთა წინააღმდეგ. შეუძლებელია აგრეთვე ჩეხელ, სლოვენელ და ხორვატელ სალდათების გზავნა რუსთა და სხვა სლავიანთა წინააღმდეგ: ჩვენი დევიზია: არავითარი გავრცელება ტერიტორიისა ბალკანეთში, არამედ გავრცელება ბალკანეთის სახელმწიფოებზე ეკონომიური გავლენისა. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ავსტრია მოიპოვებს ნდობას ბალკანეთის სლავიანთა თავისი სლავიანთა მიმართ სამართლიანობით. დასაწყისისათვის ავსტრიამ სახემა უნდა მიიღოს სერბიისა და ჩერნოგორიის სამართლიანი მოთხოვნილება, არ უნდა წინააღუდგეს, არამედ ხელი უნდა შეუწყოს ბალკანეთის სახელმწიფოთა კონფედერაციის შექმნას. კონფედერაციასთან საბაჟო ხელ-შეკრულებით ავსტრიის მომავალი უზრუნველყოფილია, გერმანიასთან კავშირი კი ემუქრება ავსტრიას განუწყვეტელი მინაური არეულობითა და განხეთქილებით. პანგერმანიის პარტია აცხადებს, რომ ყველა გერმანელები ჰკიცხავენ შემოერთებას, ბარონ ერენტალის პოლიტიკას. სერბიელი ნაციონალისტი ბილიაკი აღნიშნავს ყველა სერბიელთა ერთობას და აცხადებს, რომ ბოსნიელი სერბები მით უმეტეს ზრუნავენ თავის მომავალზე, რომ შემოერთების აზრი პანგერმანიზმის ინტერესებისათვისაა დაცული, ამიტომ გერმანიის დიპლომატია და გერმანიის ჯარიც მას ენერგიულად მხარს უჭერს. კამათის გაგრძელება 4 დეკემბრისათვისაა დანიშნული.

ვენა. ბოსნია-ჰერცოგოვინის შემოერთებაზე კამათის დროს დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტმა ბინერთმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ მთავრობისათვის [illegible] ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწენი იმ რწმენამდე მივლენ, რომ ოსმალეთის ინტერესები ბალკანეთში ავსტრიასთან შეთანხმების დროს უკეთესად იქნება უზრუნველყოფილი. ეს შეთანხმება სასარგებლო იქნებოდა საერთაშორისო კონფერენციისათვის, რომლის მოწვევასაც ავსტრო-ჰუნგრეთი ფრიად სასურველად სთვლის და ყველა ზომებსაც მიიღებს, რომ კონფერენცია აუცილებლად მოწვეული იქმნეს. ავსტრო-ჰუნგრეთი ამ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში, თუ ყველა სახელმწიფო მორიგდება პროგრამის შესახებაო. მინისტრს იმედი აქვს, ავსტრია-ოსმალეთის შეთანხმება მშვიდობიანურ გავლენას იქონიებს სერბიასა და ჩერნოგორიაზე, რომლებიც ავსტრიის საწინააღმდეგო აზრით არიან განმსჭვალულნი. ავსტრია მედგრად დაიცავს თავის ინტერესებს და ეცდება მასთან დაიცვას უმაღლესი ბედნიერება მშვიდობიანობისაო.

საზღვარ-გარედ

პარიზი. საიდან იტყობინებიან, რომ საზღვარ-გარეთის დეზერტირების მეთაური დაიჭირეს მარხუმას ტერიტორიაზე და გადასცეს ჟანდარმებსაო. ამ მეთაურის თაოსნობით ლეგიონი თავს დაესხა გენერალ ვიერს მატარებელს. ჟანდარმების რაზმმა ტელევას ახლო დაიჭირა საზღვარ-გარეთის ლეგიონის ხუთი დეზერტირი, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ მატარებელზე თავდასხმაში.

ბერლინი. კაზაბლანკის ინციდენტის მედიატორებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ჰამარშელდი ჰააგის სამედიატორო სასამართლოს წევრი შვეციაში.

ვენა. ჩეხების ბოიკოტი გერმანელების წინააღმდეგ ჩეხიაში ძლიერდება. ამას ადასტურებს მინისტერ-პრეზიდენტი ბინერტი, რომელმაც იუსტიციის მინისტრს მიმართა რომ მხნე ზომები იქმნას მიღებული ბოიკოტის წინააღმდეგ. პრაგაში გუშინ და დღეს აკრძალეს უმთავრესი გაზეთები გერმანელების ბოიკოტზე წერილების დაწერის გამო; ამას გარდა აკრძალეს 20 პროვინციალური ჩეხური გაზეთი.

რუსეთი

პეტერბურგი. ოდესის საგრადონაჩალნიკოში და ოდესის მაზრაში სამხედრო წესების მაგიერ შემოღებულ იქმნა გაძლიერებული წესები: პირველში ერთი წლით, მეორეში 1909 წლის 16 სექტემბრამდე.

ქალაქში ერთი დღის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 9, გარდაიცვალა 5.

საერო განათლების სამინისტროს საბჭომ მინისტრის თავმჯდომარეობით 3 დეკემბერს განიხილა პირველ დაწყებით-სკოლების ახალი კანონპროექტი. განიხილეს პირველი ოთხი განყოფილება. უმთავრესი დამახასიათებელი თვისებები კანონპროექტისა ის არის, რომ კანონპროექტი უწყებებს, ერობებს, ქალაქებს, წოდებებს იმ საზოგადოებებს, ვაჭრობა-მრეწველობის ამხანაგობებს და ქარხნებს, რომელთაც უფლება აქვთ დაარსონ სკოლები, ნება ეძლევათ გახსნან პირველ-დაწყებით სკოლები განცხადებითი გზით.

ოლქის სასამართლოში დაიწყო განხილვა ოლგა შტეინის საქმისა. ოლგა შტეინთან ერთად სამართალში მიცემულნი არიან ნაფიცი ვექილი დეირი და აზნაური მალავინი.

დონისროსტოვი. ქალაქის შუა ალაგას გადაიწვა მთელი უბანი სასტუმროთი, სავაჭროებით და მაღაზიებით. არის ადამიანის მსხვერპლიც. ზარალი აუარებელია.

კრემენჩუგი. სამოსამართლო პალატამ დაამთავრა საქმე 1905 წელს კობელიანკაში პოლიტიკურ ტუსაღების შეიარაღებული განთავისუფლების შესახებ. სასამართლომ გადაუწყვიტა: შვიდს 5—6 თვით დაპატიმრება; 26 კაცი გაამართლა.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ ლიახოვის მოქმედების შესახებ შეკითხვაში საფუძველი ვერა ჰპოვა.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ შავრაზმელები და ნამესტნიკი. პეტერბურგიდან გაზეთ „ბაკ. ეხოს“ დეპეშით ატყობინებენ: „აქ ჩამოვიდა თერგის ოლქიდან დეპუტაცია პრემიერ-მინისტრ სტოლიპინთან საჩივლელად ნამესტნიკზე, რომელიც, მათის სიტყვით რევოლუციონერებს ეხმარება და იფარავს“.

✦ ნახევარ კაპეიკიანი გადასახადი საქონელზე. სახ. სათათბიროს საფინანსო კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი ფოთის სასარგებლოდ ნახევარ კაპეიკიან გადასახადის დაწესების შესახებ იმ საქონელზე, რომელიც ნავთსადგურში გაივლის.

[illegible] კემბერს ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულთა [illegible] სასწაულოდ მისცეს დაქირავებულ მოხელე-მოსამსახურეებს ერთი თვის ჯამაგირის ოდენა საჩუქარი. იმ მოხელეთ, რომელნიც არჩეულნი არიან კრებამ უარი უთხრა დასაჩუქრებაზე.

✦ უმაღლეს კურსებზე. დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) სტ. ლისიციანი წაიკითხავს ლექციას სომხეთის ისტორიაზე (არიელების შემოსევა მცირე აზიაში და სომხეთში).

✦ საისტორიო საზოგადოება. გუშინ „საქართველოს საეტნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების“ წევრთა საერთო კრება მოხდა. კრებამ მოისმინა მოსე ჯანაშვილის რეფერატი: „ნიმუშები ინგილოურ სახალხო სიტყვიერებისა“; განიხილა აგრეთვე იდღესასწაულოს აკაკი წერეთლის იუბილეი.

✦ ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის სერგო ვორონპანოვს მიესაჯა სამი თვით დაპატიმრება, ოსმალეთის ქვეშევრდომი არენ მანუქის ძე მალხასიანი გაიგზავნება ეტაპით სამშობლოში, მიხეილ აბრამიძეს მიესაჯა სამი თვით დაპატიმრება, სახლის პატრონნი პირონანოვი და ნინო ბალაშვილი დაჯარიმებულ იქმნენ თითო თუმნითო ან მიესაჯა. სამი დღით დაპატიმრება, ყასაბი ივანე ოჰანეზოვი დაჯარიმებულ იქმნა 5 მან. საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევებულ იქმნა ევა აზმაიპარაშვილი.

✦ „ფასკუნჯი“. კვირას, 7 დეკემბერს, გამოვა საიუბილეო სურათებიანი ნომერი „ფასკუნჯისა“. შემდეგის შინაარსით: [illegible] ხიზმარო, ალ. მანშიაშვილისა.—აკაკი, ფანცხავასი.—მგოსანი, ნინო ნაკაშიძისა.—აკაკის, დუტუ მეგრელისა.—აკაკის, ნინა ლომაურისა.—აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი, გ. აბაშიძისა.—„არ მიმკვდარა“, ხილდავანისა.—ჩვენი და ილია, გრ. რობაქიძისა.—„სალამი“, მაჩაბლისა.—ერთგული მხარე აკაკის პეტრიაშვილისა, გ. ჯავახიშვილისა.—„მიგვიღებდან“, არ. ჭეთათელაძისა. სურათები: აკაკი ახალ-გაზრდობაში, აკაკი ამ დღეებში გადაღებული, ი. ნიკოლაძის აკაკის ბიუსტი და დაგვირგვინებული აკაკი, ხანცლის ნახატი. ფასი 10 კა.

✦ სახალხო წარმოდგენა. დღეს ავჭალის ქუჩის აუდიტორიაში სახალხო წარმოდგენაა. წარმოდგენილი იქნება „პარიჟის ღარიბ-ღატაკნი.“

✦ ახალი ჟურნალი. ბ. ტყემალაძემ შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს ყოველ თვიური ქართული ჟურნალი „ამომავალი მზე“.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ თქვენ გაზეთში მადლობა გამოვუცხადო ბ-ნ ქ. ყიფიანს, რომელმაც შემოსწირა ავჭალის იაფ-ფასიან სამკითხველოს ილია ჭავჭავაძის სრული თხზულება და მით გაადიდა ღარიბი ბიბლიოთეკა. კარგი იქნებოდა საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ბიბლიოთეკის მდგომარეობას და გამოჩნდნენ ბ-ნ ქ. ყიფიანის მიმბაძველნი. აკაკის თხზულება არ არის. ავჭალის სამკითხველოს გამგე“.

✦ მეტეხის ქუჩასა და კახეთის მოედნის შესართავთან არტემა მუჩაიძის დუქანში ტფ. მოქალაქემ ვანო ველიაშვილმა მეეზოვეს ყაზახოვს გამოართვა რევოლვერი და დაუწყო შინჯვა. უცაბედად რევოლვერი გავარდა. გვერდში დაიჭრა იქვე მდგომი ავეტიქ ადამოვი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 4 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა სენაკის მაზრის მცხოვრები ზაქარია კომარიძე, რომელსაც ვაკეს მცხოვრების პეშტაკოვისაგან 140 მანეთის ნივთის მოპარვა ჰბრალდება.

✦ 4 დეკემბერს საღამოთი ვორონცოვის ქუჩაზე ახუნდოვის სახლის დუქანში რევოლვერი ესროლეს ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მამედ-ისმაილ-ოღლის და დასჭრეს. მოკვლის განზრახვაში პოლიციამ დააპატიმრა, სენაკის მაზრის მცხოვრები დიმიტრი პორგოშვილი.

შეცდომის გასწორება. „დროების“ მე-14 ნომერში შეცდომით დაბეჭდილი იყო, რომ სათავად-აზნაურო ბანკმა აკაკის ფონდისთვის ხუთი ათასი მანეთი გადასდოო, უნდა იყოს—ხუთასი მანეთი.

პატარა ფელეტონი

ნეტარი წამი

([illegible])

ვისაც უნახავს მზის დიდებული ამოსვენება ზღვის წიაღზედ, იგი, რაც უნდა გრძნობა დაშრეტილი იყოს მშვენებისადმი,—მაინც წარმოუდგენელია არ გაიმსჭვალოს ბუნების საოცნებო სანახაობით.

და თუ ადამიანის არსებაში ოდნავად მაინც ბჟუტავს ნაპერწკალი ცხოველის სულისა, მაშინ მისი აგზნება, სანეტარო მაჯის ცემა უმწვერვალესობამდე აღწევს...

იქ, სადაც ცის ტატნობი და ზღვის მოჩვენებული კიდური ერთმანეთში ბუნდოვანად ირევა, თითქოს მათ შემაერთებელ ხაზს თხლად ნაკემსი საბურავი ჰქონდეს გადაფარებული, უცბად ზოლ-ზოლად ამონაშუქი მზის სხივები სივრცეს ოქროს მტვერს აფენს.

ეს ფერ-მინაზებული მტვერი თანდა თან ივსება, მაგრდება, ხორცს ისხავს და ზღვიდან ამომზიდულ სხივნართ სვეტებად იქცევა...

აი, ამოცურდა მედიდურად ის, რამაც ქვეყანას წინამორბედად თვის სხივთა კრება გამოუგზავნა. ამოცურდა გავარვარებული ბორბალი მზისა და დაანთო უსაზღვრო კოცონი!..

აგიზგიზდა მთელი ბუნება, ყოველი ნაკვეთი მისი, თვით კნინზედ უმცირესი... ცაში გაფანტულ ღრუბლების ნაპრების უსწორ-მასწორო ნაპირები ოქროს ვარაყით დაფერა...

აყვავდა ზღვა... მისი ტალღები სხვა და სხვა იერით აფერადდა... ყოველი ოდნავი შხეფი, ყოველი ცალკე ამოძრავებული წვეთი წყლისა ძვირფას ჯავარად აენთო.

ზღვა იწვის... ცეცხლი ეკიდება...

გაჰყურებ ამ ჯადოსნურ სურათს და ჰგრძნობ, რომ შენს ძარღვებში სისხლი თანდათან ძალუმად იძვრის, გულს ნეტარება გეფინება და მთელი შენი არსება ოცნებას ეძლევა...

შენი ტყვედ-ქმნილი თვალთა სინათლე ცდუნებაშია: იგი ჰქმნის ათასგვარ თილისმურ წარმოდგენას, მოჩვენებას, უზარ-მაზარ ლანდებს ბუმბერაზ ადამიანთა, ცხოველთა, სავანეთა...

ცდუნებაშია აგრეთვე შენი სმენა: ეს, შენს წინაშე გადაშლილი უტყვი ბუნება თითქოს მეტყველებს, ენას იდგამს, ხმად იქცევა და უეცრად მოგესმის დამატკბობელი სიმფონია, ჰანგოვანი, დაუსრულებელი, ზეციური..

აი, რასა ვგრძნობდი, როცა ვისმენდი გრიგოლ რობაქიძის ლექციას აკაკის შესახებ...

სანეტარო წამი იყო...

ი. ე—ძე.

5 დეკემბერი.

რუსეთი

✦ ფინლანდიის სენატი. ფინლანდიის სენატმა რუსეთის სასამართლოს უარი უთხრა ბომასა და გოლუბევის გადაცემაზე. ბომას და გოლუბევს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ კორნილოვთან ერთად ჰბრალდებათ პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის გაქარცვის მოწყობა.

✦ ყალბი კოლექცია. პეტერბურგის ერმიტაჟში აღმოუჩენიათ ყალბი კოლექცია. საქმე ამნაირად ყოფილა: 1894 წ. ცნობილმა მილიონერმა ბაზილევსკიმ ქრისტიანობის პირველ დროის კოლექცია შეიძინა. შემდეგ ბაზილევსკიმ ეს კოლექცია პეტერბურგის ერმიტაჟს შესწირა. ამ დღეებში ერმიტაჟში სწმენდავდნენ კოლექციას და აღმოაჩინეს, რომ კოლექცია სულ მთლიანად ყალბი ყოფილა. „რუსკ. სლ.“ სიტყვით, ზოგიერთ ნივთებზე ნათლად არის დაწერილი: „პარიზი, 1858“. საინტერესო ის არის, რომ კოლექცია სწავლულთა კომისიამ მიიღო და ვერაფერი კი ვერ შეამჩნია.

✦ ებრაელები. ამას წინად სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეებმა შინაგან საქმეთა მინისტრის შარშანდელ ცირკულიარის შესახებ შეკითხვა შეიტანეს. მინისტრის ცირკულიარი ებრაელებს შეეხება. ამ დღეებში ანალოგიური საჩივარი შეიტანეს შინაგან საქმეთა მინისტრზე სენატში. სენატმა განიხილა ეს საქმე და დაადგინა, რომ მინისტრის ცირკულიარი არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონებსაო.

✦ გრაფ პალენის რევიზია. უკვე გვქონდა ცნობა ტაშკენტის რევიზიის შესახებ, რომელიც გრაფმა [illegible]ნა. გაზეთების სიტყვით გრაფი პალენი სამართალში აძლევს მთავრობის 250 აგენტს.

✦ კალენდარის აკრძალვა. აკრძალეს ლ. ნ. ტოლსტოის კალენდარი.

რედაქტორ-გამომცემელი
ივანე ხოზიაშვილი.

განცხადებანი

მებლიანი ნომრები
„ხარბინი“
გიორგი მიკირტუმოვისა.
პირველ ენკენისთვიდან გაიხსნა ახლად მოწყობილი ნომრები
„ხარბინი“ ქ. ტფილისში რიყეზე
ხოსროევის ქარვასლაში, სახლი № 92. შესანიშნავი სისუფთავეა, ფასები ზომიერია. ნომრებში იმყოფება ექიმი ხირურგიულისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. იღებს დილის 10 ნახევრიდან—11 ნახევარ საათამდის.
(14—ხალ.—8)

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე
ფეხსაცმელების სახელოსნო
ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.
ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.
პატივისცემით
(20—ნ.—4) ივ. ხვ. ბერძნიშვილი.
[illegible]
[illegible]

გეომეტრი და მარკშაიდერი
ბ. ს. ასათიანი
ვეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში სახლებისა და სხვა სამოქალაქო შენობების პლანებსა და პროექტებს.
ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, ბ. ასათიანი. (0—6.—66)

1865 წ. 1870 წ. 1882 წ. 1896 წ.
ამხანაგობა
[illegible]
მანუფაქტურისა
ფირმით
● სამკუთხი ●
პეტერბურგში
სატეხნიკო ნივთები.
რეზინის ლვედები.
რეზინისა და პენკის მილები.
აზბესტის ნაწარმოები.
აზბესტის კარტონი.
ქირურგიული და საექიმო ნივთები.
წამოსასხამები და პალტოები.
გარეზინებული მატერიები.
ველოსიპედის შინები და კუთვნილებანი:
რეზინის სათამაშოები.
ბ უ რ თ ე ბ ი.
სამკურნალო— რეზინის ნაბოიკა.
კალოშები.
რეზინის ყოველგვარი ნაწარმოები და ნაწარმოები ძველის რეზინისა.
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ამ დაღს:
1860. Т.Р.А.Р.М С.ПЕТЕРБУРГЪ.
ყოველგვარ შეკითხვით და საქონლის დასაკვეთად მსურველმა უნდა მიმართოს
ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ს.
„ლეოპოლდ ნეიშელლერი“,
ტფილისი, ერევნის მოედანი, საკრედიტო საზოგადოების სახლი.
პრეის-კურანტები პირველსავე მოთხოვნილებაზე უფასოდ იგზავნება. (10—ნ.—2)

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.